ერთიანი ტრიაჟის სქემა პჯდ სთვის COVID-19-ის სამართავად

1. სასურველია შეიქმნას ცალკე ცხელი ხაზი (მაგ. 112-2) რომელიმე სახელწიფო ქოლ-ცენტრის ბაზაზე (შესაძლებელია ქოლ ცენტრმა გამოიყენოს პჯდ კლინიკების ადამიანური რესურსი).[1]
    - აღნიშნული ერთიანი ქოლ-ცენტრი საშუალებას მოგვცემს, გავაცალკევოთ ეპიდემიისთან დაკავშირებული ზარები სხვა სამედიცინო საჭიროების ზარებისგან
    - ერთიანი ქოლ-ცენტრის საშუალებით ეფექტურად მოხდება ტრიაჟის მართვა და მიწოდებული ინფორმაცია იქნებაერთნაირი
    - ქოლ-ცენტრის მთავარი ფუნქცია იქნება შემოსული ზარების გადამისამართება კონკრეტულ ექიმთან
    - შემოსული ზარისას ოპერატორი იძიებს შესაბამის ბაზაში პაციენტის ექიმს და აწვდის პაციენტს ექიმის საკონტაქტო ინფორმაციას.
2. ერთიან ქოლ-ენტრს, თბილისის მაშტაბით არსებულმა პჯდ კლინიკებმა უნდა მიაწოდონ ბენეფიციართა (საყოველთაო პროგრამაში ჩართული პაციენტების სახელი, გვარი, პირადი №,) სიები შესაბამისი ექიმის მითითებით (სახელი, გვარი, ტელ. ნომერი).
    - არსებულ სიებს მიღმა დარჩენილი პაციენტების სიები შესაძლბელია განაწილდეს პროპორციულად ტრიაჟში ჩართული პჯდ კლინიკებზე, რის შემდეგაც ჩართული პჯდ კლინიკები მიანიჭებენ დამატებით სიაში მყოფ პაციენტებს ექიმებს (მიუთითებენ ექიმის სახელს, გვარს, ტელ. ნომერს)
    - კერძო სადაზვევო სისტემაში მყოფ პაციენტებიც შესაძლებელია გადანაწილდეს როგორც ჩართულ პჯდ კლინიკებზე, ან ისარგებლონ სადაზღვევოს პროვაიდერული ქსელით (ასეთ შემთხვევაში, პროვაიდერულმა ქსელმა ერთიან ქოლ-ცენტს უნდა მიაწოდოს პაციენტების ბაზა შესაბამისი ექიმი ნომრის მითითებით).
3. ერთიან ქოლ-ცენტრში შესული ზარები უნდა გადამისამართდეს კონკრეტულ (პჯდ კლინიკების მიერ მოწოდებული სიის მიხედვით) ექიმებთან.
4. პჯდ კლინიკების ექიმები (ერთიანი პროტოკოლით)[2] უწევს სატელეონო კონსულტაციას პაციენტს. საჭიროების შემთხვევაში გადის ბინაზე ვიზიტით[3]
5. ბინაზე ექიმი აფასებს მდგომარეობას არსებული პროტოკოლით (იხილეთ პროტოკოლის განმარტება)
    - ტოვებს ბინაზევე პაციენტს შესაბამისი რეკომენდაციებით
    - უკავშირდება სასწრაფო გადაუდებელ ბრიგადასრომელსაც პაციენტი გადაყავს შესაბამის ჰოსპიტალში.

---

[1] ტექნიკურად შესაძლებელია გამოვიყენოთ როგორც კლინიკების ქოლ-ცენტრები ასევე კლინიკებმა მიავლინონ საკუთარი თანამშრომლები შერჩეულ ქოლ-ცენტრში.

[2] უნდა შემუშავდეს ერთიანი პროტოკოლი/გაიდლაინი ოჯახის ექიმებისთვის სადაც დეტალურად იქნება განმარტება COVID-19 დაკავშირებული ყველა სამედიცინო რეკომენდაცია.

[3] უნდა მოხდეს ბინაზე გამსვლელი ექიმების და მძღოლების უზრუნველყოფა შესაბამისი პირადი უსაფრთხოების ინვენტარით და ტრანსპორტით. სავარაუდოდ, ყველა ექიმი აღჭურვილი უნდა იყოს პორტატული პულოქსიმეტრით.


ერთიანი ქოლ ცენტრი
პაციენტი
შესაბამისი სატელეფონო
რეკომენდაცია ბინაზე
მკურნალობის
ოჯახის ექიმის
სატელეფონო
კონსულტაცია
1 ექიმის შეფასებით პაციენტი არ საჭიროებს ბინაზე ვიზიტს
2 ექიმი თვლის რომ საჭიროა პაციენტის ბინაზე გასინჯვა
ოჯახის ექიმის ვიზიტი
ბინაზე